24.10.2008: აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №24

24 ოქტომბერი, 2008
ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი;

2. აკადემიური დავალიანების დაფარვისა და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი;

3. ცვლილება უნივერსიტეტის წესდებაში "ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების შექმნის შესახებ"

4. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის უნივერსიტეტის ლოგოსა და სახელის მინიჭების წესი;

5. ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის შექმნის შესახებ;

6. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის "სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის" საბაკალავრო პროგრამის დამტკიცება;

7. ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინიციატივა უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ "საპატიო დოქტორის " წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.

8. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მობილობის წესის შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე - საბჭოს თავმჯდომარე
2. შუქია აფრიდონიძე - სხდომის მდივანი
3. მზია ბაქრაძე
4. ნათელა იმედაძე

2008 წლის 24 ოქტომბრის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი.
2. დამტკიცდეს აკადემიური დავალიანებისა და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი.
3. დამტკიცდეს ცვლილება უნივერსიტეტის წესდებაში "ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების შექმნის შესახებ".
4. დამტკიცდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო პუბლიკაციებისათვის უნივერსიტეტის ლოგოსა და სახელის მინიჭების წესი.
5. უნივერსიტეტში შეიქმნას ახალი - ბიზნესისა და სამართლის - ფაკულტეტი და წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს უახლეს სხდომაზე დასამტკიცებლად.
6. დამტკიცდეს მეცნიერებისა და ხელოვნების "სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის" საბაკალავრო პროგრამა.
7. დაევალოს ადმინისტრაციას, შეიმუშაოს დებულება "საპატიო დოქტორის წოდების" მინიჭებასთან დაკავშირებით და წარმოადგინოს აკადემიური საბჭოს უახლოეს სხდომაზე.
8. დამტკიცდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მობილობის წესი.

სხდომის თავმჯდომარე: გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი: შუქია აფრიდონიძე